გადაწყვეტილება

N გ-25-10/380
16/07/2025

380-გ-25-1-4-202507161412

საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონა №3-ში კერძო საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად კომისიის 2025 წლის 5 ივნისის №გ-25-10/289 გადაწყვეტილებით გამოცხადებული კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების შესახებ

კომისიის მოსამზადებელი სხდომის თარიღი: 2025 წლის 16 ივლისი.

I. აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის 2025 წლის 5 ივნისის №გ-25-10/289 გადაწყვეტილებით გამოცხადდა კონკურსი საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონა №3-ში კერძო საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;

ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;

გ) ლიცენზიის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;

დ) გავრცელების გეოგრაფიული ზონა: საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონა №3;

ე) მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობა დღე–ღამის განმავლობაში - 18 საათი;

ვ) მაუწყებლობის გავრცელების ტექნოლოგია და ტექნიკური პარამეტრები:

სამაუწყებლო ზონა/პუნქტი			FM სამაუწყებლო გადამცემის მახასიათებლები					გადამცემი ანტენის მახასიათებლები				
№	საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონა	გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	საარხო ზოლის სიგანე (მჰც)	მოდუ-ლაცია	პოლა-რიზაცია V/H	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)	გასხივება	აზი-მუტი
1	ზონა 3 - მცხეთა მთიანეთი	ბარისახო	88.9	0.3	FM	V	100	42°28'34.00"N 44°55'26.00"E	15	5	წრიული	-
2	ზონა 3 - მცხეთა მთიანეთი	დუშეთი	88.3	0.3	FM	V	100	42° 0'5.69"N 44°39'21.70"E	20	5	მიმართული	30
3	ზონა 3 - მცხეთა მთიანეთი	თიანეთი	89.9	0.3	FM	V	200	42° 6'7.30"N 44°56'54.70"E	20	5	წრიული	-
4	ზონა 3 - მცხეთა მთიანეთი	ფასანაური	88.9	0.3	FM	V	100	42°20'39.09"N 44°41'45.00"E	20	5	წრიული	-

შენიშვნა 1: *გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500 მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება ±5მ). ასევე ქსელის ფორმირებისას გადამცემის სიმძლავრის და ანტენის ტექნიკური პარამეტრების მნიშვნელობების ცდომილება არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს;*

შენიშვნა 2: *ზონალური დაფარვის მიზნით გაცემული ლიცენზიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მაუწყებლობის ზონის თითოეული გადამცემი სადგურიდან უნდა გავრცელდეს ერთი და იგივე კონტენტი დროში უცვლელად, შესაბამისად ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოდგენისას ყურადღება უნდა გამახვილდეს, როგორც გადამცემი სადგურების და საანტენო მეურნეობის, ასევე სადისტრიბუციო ქსელის მოწყობის აუცილებლობაზე;*

შენიშვნა 3: *კომისიის თანხმობის შემთხვევაში ქსელის ფორმირებისას შესაძლებელია ტექნიკური პარამეტრების ცვლილება, ქსელის გამართული ფუნქციონირების მისაღწევად, მათ შორის სადგურების მდებარეობის.*

2. კომისია აღნიშნავს რომ ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება მიმდინარეობდა 2025 წლის 11 ივლისის 17:00 საათამდე. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობაზე კომისიაში არცერთი განაცხადი არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად, კომისიას მიაჩნია, რომ ჩაშლილად უნდა გამოცხადდეს საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონა №3-ში, კერძო საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად, კომისიის 2025 წლის 5 ივნისის №გ-25-10/289 გადაწყვეტილებით გამოცხადებული კონკურსი.

II. სარეზოლუციო ნაწილი

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ჟ) ქვეპუნქტის და 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. ჩაშლილად გამოცხადდეს საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონა №3-ში, კერძო საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად, კომისიის 2025 წლის 5 ივნისის №გ-25-10/289 გადაწყვეტილებით გამოცხადებული კონკურსი;

2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე;

3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ბ. გასვიანი) აღნიშნული გადაწყვეტილების კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) ერთი თვის ვადაში;

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის ავტორიზაციისა და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.

ნათია კუკულაძე

წევრი

ივანე მახარაძე

წევრი